



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 27
14/07/2015

27-06-4-201507141944



დადგენილება N27

2015 წლის 14 ივლისი
ქ. ოზურგეთი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ემუხლის პირველი წილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში (ვებგვერდი, 31/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016206) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **1049592 ლარით:**

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) 1049592 ლარით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის #1504 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **1049592 ლარი**. მათ შორის:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1049592 ლარი;**

შემცირდეს:

შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **364 010 ლარით** საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის #1504 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა დაფინანსება **364,01 ათ. ლარით**. მათ შორის:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა - **364,01 ათ. ლარით;**

შესაბამისად შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

- ა) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი 03 02 05-61.1.1.5.) – 344,002 ათ. ლარით;
- ბ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 05-61.1.1.2.) – 18,5 ათ. ლარით;
- გ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა - ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 05-61.1.1.11.) – 1,508 ათ. ლარით;

შემცირდეს:

- დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის კლასიფიცირებული (ორგანიზაციული კოდი - 01 02 -61.1.2.2.20.) – 12,5 ათ. ლარით;

გაიზარდოს:


- ე) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 05-61.1.1.1.) – 600,0 ათ. ლარით;
- ვ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 05-61.1.1.2.) – 449,592 ათ. ლარით;
- ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა, ტელევიზორის შეძენის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -01 02 - 61.1.2.2.1.) – 1,5 ათ. ლარით;
- თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 03- 2.2.3.5.3,) – 6,0 ათ.ლარით;
- ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (ორგანიზაციული კოდი -01 01 - 61.1.2.2.20.) – 5,0 ათ. ლარით;

სულ გაიზარდოს 1 049 592 ლარით

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე